ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,

ფრაქცია „მშრომელთა და ხელმოკლეტა ინტერესებისათვის“

თავმჯდომარის მოადგილეს დავით მამალაძის

ანგარიში 2020 წლის განვლილ პერიოდში

გაწეული საქმიანობის შესახებ!

მოგახსენებთ ,რომ ჩემი სადეპუტატო მანდატი შემოიფარგლება საქართველოს ლეიბორისტული პოარტიის მხარდამჭერთა მიერ მონიჭებული უფლებამოსილებით,რომელსაც ნგარიშს ვაბარებ თითქმის ყოველთვიურად. ჩემი საკრებულოს წევრობის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა, ხელი შემეწყო ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისათვის,მოსახლეობისა და განსაკუთრებით ლეიბორისტული პარტიის მხარდამჭერების აქტიური ჩართულობისათვის,ვინაიდან სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ერთადერთი პოლიტიკური პარტია ვართ, როგორც საქართველოში,ასევე რეგიონში, რომლის რჩეულებს გვაქვს მხოლოდ ამომრჩევლის პოლიტიკური ვალი და პასუხისმგებლობა მათ წინაშე თითოეულ დღის გაწეული მუშაობისათვის. მხოლოდ ლეიბორისტული პარტიის ამომრჩეველია ყველაზე უფრო უანგარო, მოუსყიდავი და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, რადგან არასოდეს არც ერთი თეთრით მისი აქტივისტები და უბნის კოორდინატორები არ დაგვიფინანსებია, არც იერარქიული ანგარებით დაგვიმოძღვრავს ვინმე არჩევნების წინ, მიტუმეტეს ადმინისტრაციული რესურსთან საერთოდ კავშირი არ გვქონია პარტიის შექმნიდან დღემდე. უკვე ¼ საუკუნეზე მეტია გასული და ამ ხნის მანძილზე რამდენი პოლიტიკური დაჯგუფება, მათ შორის მმარველი პარტიები გამქრალა პოლიტიკური ველიდან, რეამდენი კიდევ გაქრება,(რიგში არიან ჩამდგარნი). სწორედ ეს განსაზღვრავს ჩვენი პასუხისმგებლობის მაღალ სტანდარტს ამომრჩეველთან ურთიერთობისათვის და ამიტომაა ჩემი საკრებულოს წევრობის მანდატი გაცილებით უფრო ძლიერი და მაღალი ხარისხის!

სამწუხაროა ის გარემოება, რომ დღეს კვლავ გვიწევს არადემოკრატიულ გარემოში მოღვაწეობა. რეგიონში სადაც ისევ ყალბდება არჩევნები ტოტალურად, მმართველი დაჯგუფება სარგებლობს ადმინისტრაციული რესურსით, ძალოვნები და კრიმინალები ერთიანი ძალებით იცავენ საარჩევნო კომისიებს და ხელს უწყობენ ოქმების გაყალბებაში, სადაც მთელი მატერიალური რესურსი (ფული) მოქცეულია ერთი კაცისა და ერთი დაჯგუფების ხელში, და ხალხის ეკონომიკური სიდუხჭირით არჩევნების წინ სპეკულიანტობენ- ბუნებრივია ამ პირობებში გვიწევს კონსპირაციულად მოქმედება ჩვენს მხარდამჭერებთან და ამომრჩეველთან და შესაბამისად სწორედ ეს არის ხელის შემშლელი ფაქტორი დღეს რომ დეტალურად ვერ წარმოვადგინე წლიურ ანგარიში, თუ კონკრეტულად ვის რა დახმარება გავუწიე. ნახევრად იატაქქვეშეთში გვიწევს მოღვაწეობა!. რაც სეეხება ზოგად ანგარიშს-წარმოგიდგენთ შემდეგს:

საანგარიშო პერიოდში დავესწარი და მონაწილეობა მივიღე ოზურგეთის საკრებულოს 9 სხდომაში და 1 რიგგარეშე სხდომაში. ასევე აქტიურად ვიღებდი შემლებისდაგავარად იურიდიულ საკითხთა და სოციალური კომისიის სხდომებში. გარდა ამისა ჩავატარეთ ფრაქციის-„მშრომელთა და ხელმოკლეთა ინტერესებისათვის“ 8 სხდომა, რომელტა ოქმებიც გაფორმებულია ჩვენი საკრებულოს რეგლამენტისა და საჯარო სამსახურში საქმის წარმოების წესების შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში ჩვენს მიერ ინიცირებული იქნა რამდენიმე ძალზე მნიშვნელოვანი საკითხი. კერძოდ:

1)ა.ი.ა.ოზურგეთის„ სერვისცენტრის“ კომუნალური სამსახურისა და დასუფთავების სამსახურის მუშებისათვის სახელფასო ანაზღაურების 20%-0იანი ზრდის შესახებ!

2)სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა მუშაკებისათვის სახელფასო ანაზღაურების 25%-იანი გაზრდის შესახებ!

3)ოზურგეტის მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში ე.წ.სოციალური საწარმოების შექმნის პრაქტიკის დანერგვის შესახებ!

4) ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ჩაის კულტურის აგრარულ მეურნეობაში დარგვა-განაშენიანების პოპულარიზაციისათვის სპეციალური სააგიტაციო საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობისა და ჩაის სანერგე მეურნეობის შექმნისა და ფუნქციონირების შესახებ!

5) ოზურგეთისა დაზოგადად გურიის რეგიონის თვალწარმტაცი და ღირშესანიშნავი ისტორიული ძეგლებისა და ბუნების ულამაზესი ადგილების პოპულარიზაციისა და ქვეყნის ტურისტულ რუკაზე მათი მკვეთრი დაფიქსირების შესახებ.

6) ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური ვითარების გაუარესების ფონზე (მდინარეებიდან ინერტული მასალების უკანონო ამოღება, მდინარეტა ხეობებისა და კალაპოტების დაწევა,წყლის არტერიული მარაგების კლება) ამგვარ სამეწარმეო საქმიანობისა და და ჩვენს მდინარეებზე ჰესების მშენებლობის პერსპექტივაზე ადგილობრივ მოსახლეობასთან კონსულტაციების აუცილებლობა და მათი აზრის უპირობო გათვალისწინების შესახებ. მთავრობის ინფორმირებულობა მეწყერსაშიში ზონების გაფართოების კვალობაზე პრევენციულ ღონისძიებათა შესახებ და სხვა.

7) ოზურგეთის განაშენიანების შემუშავების პროცესში. ე.წ. რეკრტეაციული ზონების მკვეთრად გამოყოფა და მათი მუნიციპალურ საკუთრებაში დაფიქსირება, როგორც ხელშეუხებელი ბუნებრივი სიმდიდრის მქონე ტერიტორიებისა.

8)ქ. ოზურგეთის ექადიის უბანში ჯერ ტყვიის გადამამუშავებელი, ხოლო ამჟამად დღის წესრიგში შემოტანაში, ალუმინის წარმოება-გადამუშავების საკითხის მოსახლეობის სასარგებლოდ გადაწყვეტის საკითხი და სხვა.

გარდა ამისა აქტიურად ვიყავი ჩართული 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში !